

## გარემოს დაცვის პოლიტიკა შპს „ავერსის კლინიკა“-ში

### SOP 068

შპს „ავერსის კლინიკა“-ს გარემოს დაცვის პოლიტიკა ძირითადად ეფუძნება ნორმატიულ აქტებს, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ნარჩენების მართვის კოდექსს“.

კოდექსის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას.

კოდექსის შესაბამისად გარემოს დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკას და მიზნებს 15-წლიანი პერიოდისთვის.

კოდექსის თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, ვალდებულია განსაზღვროს გარემოსდაცვითი მმართველი და შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

კოდექსის ამოცანაა გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა:

- ა) ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით;
- ბ) ნარჩენების მართვის ეფექტური მექანიზმების შექმნით;
- გ) რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

**ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები ავერსის კლინიკაში ხორციელდება შემდეგნაირად:**

1. ნარჩენების შეგროვება, დახარისხება კლინიკაში ხორციელდება ნარჩენების სახეობების, მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით. (SOP- 078)
2. ნარჩენების ტრანსპორტირება და დამუშავება ხდება კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ, რომელთაც აქვთ სათანადო ნებართვა და გავლილი აქვთ რეგისტრაცია საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. მომსახურებას ახორციელებენ შესაბამისი პროცედურების დაცვით, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს გარემოს დაზიანება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება.

### კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა

კომპანიის ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაციის დოკუმენტი და ნარჩენების მართვის გეგმა წარდგენილია და შეთანხმებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

**ნარჩენების მართვის გეგმა ძირითადად მოიცავს:**

- ა) წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაციას (კერძოდ, მონაცემებს მათი წარმოშობის, ნარჩენების ნუსხით განსაზღვრული სახეობების, შემადგენლობის, რაოდენობის შესახებ);
- ბ) ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, განსაკუთრებით – სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში;
- გ) წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირების მეთოდის, განსაკუთრებით – სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების მეთოდის აღწერას;
- დ) ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდებსა და პირობებს;
- ე) ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებულ მეთოდებს ან/და იმ პირის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც ნარჩენები შემდგომი დამუშავებისთვის გადაეცემა.

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა განახლდება ყოველ 3 წელიწადში ან წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.  
კომპანიას ჰყავს სერთიფიცირებული გარემოსდაცვითი მმართველები, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების მართვის მონიტორინგს.

აღნიშნულის გარდა გარემოსდაცვითი საქმიანობის სრულყოფას კლინიკებში აკონტროლებენ კლინიკის ხარისხის მენეჯერი, ლაბორატორიის ხარისხის მენეჯერი, სანიტარული სამსახურის უფროსი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და კლინიკის უფროსი მედდა.

შპს "ავერსის კლინიკა"-ს გენერალური დირექტორი

დიმიტრი ჯორბენაძე

შპს "ავერსის კლინიკა"-ს ეპიდემიოლოგი  
გარემოსდაცვითი მმართველი:

ეკა მამალაძე

